



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური  
სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**შპს-საქართველოს უნივერსიტეტი**

**შეფასების თარიღი**

**14.05.2021**

**დასკვნის წარდგენის თარიღი**

**25.05.2021**

**თბილისი**

**2021**

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს-საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი და ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ეკონომიკის მაგისტრი Master in Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	ახალი

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	
---	--

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>მანანა ლობჯანიძე</b> სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>მარინა ჩავლეიშვილი</b> სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>ნინო ბოგვერაძე</b> „კორმაძის საადვოკატო ბიურო“-ს პარტნიორი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>ნინო ჯოჯუა</b> ასოცირებული პროფესორი შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>კონსტანტინე ებრალიძე</b> კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა**

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - პროგრამა შემუშავდა 2019-2020 წლებში შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის საპასუხოდ ისეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე, რომლებიც შეძლებენ ეკონომიკის სფეროში კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ, რეგულირების ეკონომიკურ ანალიზს. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, პროგრამა ფოკუსირებულია ეკონომიკის კერძო მიმართულებაზე - „სამართალი და ეკონომიკა“, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ გააზრებას.

- პროგრამის არქიტექტურა სრულად არის ორიენტირებული იმაზე, რომ სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების გათვალისწინებით, კურსდამთავრებულებმა შეძლონ მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება. ამისთვის, პროგრამაზე სწავლის უდიდესი დრო დაეთმობა განსხვავებული კვლევების ჩატარებას, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები გამოიმუშავენ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს.
- პროგრამის მიზანია ფართო მსოფლმხედველობის სპეციალისტის მომზადება, რომელიც რეგულაციების თუ ეკონომიკური პრობლემების შესწავლისას შეძლებს არა მხოლოდ სტანდარტული ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას, არამედ გაითვალისწინებს სამართლის ფილოსოფიის და ზოგადად, სამართლის თეორიის ფუნდამენტურ ელემენტებს. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკური იდეები პრაქტიკაში კანონების და სასამართლო სისტემის გავლით რეალიზდებიან და ამ საზოგადოების ელემენტების სპეციფიკის ცოდნა უფრო ღრმა ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას ბადებს. პროგრამის კიდევ ერთი უნიკალური დამახასიათებელია ეკონომიკაში არსებული განსხვავებული კონცეფციების შესწავლა, რაც ემსახურება ფართო და ორიგინალური ხედვის ჩამოყალიბებას.
- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის დირექტორის 2021 წლის №345203 (12/04/2021) ბრძანების შესაბამისად 2021 წლის 14 მაისს განახორციელა ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში (ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის შეხვედრა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში) სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
  - ვიზიტამდე შედგა 2021 წლის 13 მაისს ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი ვიზიტი ონლაინ რეჟიმში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
  - 2021 წლის 14 მაისს ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (სამართლის სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება პლატფორმა zoom-ის საშუალებით. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალი და ეკონომიკა“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:
  - **პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია** რადგან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია** მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.1, 2.2, და 2.3 მეტწილად შესაბამისობაშია, 2.4, 2.5 და 2.6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**, ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**, რადგან კომპონენტები 4.1 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.2, 4.3 და 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**, რადგან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასებულია, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალის (Journal of Economic Literature) კლასიფიკაციის თანახმად პროგრამა „სამართალი და ეკონომიკა“ ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, ექსპერტთა აზრით, აღნიშნული განმარტება არარელევანტურია, კერძოდ, პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი უნდა იყოს. ასევე, აღნიშნულია, რომ პროგრამით გამოიმუშავებული უნარების შესაბამისად, კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. რადგან სამართალი რეგულირებადია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული სამართლის მიმართულებით ვერ შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. შესაბამისად პროგრამის დასახელებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მაგისტრანტობის კანდიდატი.
- პროგრამის შინაარსი უფრო ინტერდისციპლინურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გაძლიერდეს ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსებით, რომელთა დამატება უფრო მდგრადს გახდის პროგრამას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით.
- სასწავლო კურსის სილაბუსები განახლდეს უახლესი ლიტერატურით;
- პროგრამა გაძლიერდეს მაპროფილებელი დარგის აკადემიური პერსონალით.
- პროგრამაზე მიღება საჭიროებს პროგრამაზე სწავლის მსურველ პირთა გარკვეული უნარების არსებობას, სასურველია, გადაიხედოს წარმოდგენილი პროგრამის ჩარჩოში, რამდენად არის შესაძლებელი, მომზადდეს „ეკონომიკის მაგისტრის“

მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც გაათვითცნობიერებს სამართლისა და ეკონომიკის ძირითად ასპექტებს სიღრმისეულად და, საბოლოო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შეძლებს სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის ეკონომიკურ ანალიზს. გამომდინარე აქედან, სასურველია, პროგრამაში განისაზღვროს წინაპირობები პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის, კერძოდ, დაწესდეს აღნიშნულ პირთა გარკვეული კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება.

- სამართალი და ეკონომიკის დარგში კომპლექსური პრობლემების კრიტიკული გააზრებისთვის სამართალში აუცილებელი ცოდნის (სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის) მიღების შესახებ სწავლის შედეგის რეალისტურობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი გაძლიერდეს შესაბამისი სამართლის საგნებით ან განხორციელდეს სწავლის შედეგის კორექტირება პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სამართლის საგნების გათვალისწინებით.

#### ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებისათვის შესაძლებლობის მიცემა, გასაუბრების ეტაპამდე მოუსმინონ ჩანაწერს და მიიღონ გარკვეული ცოდნა ეკონომიკური საკითხების შესახებ, უმთავრესად განკუთვნილია ეკონომიკური განათლების არმქონე პირებისათვის, სასურველია, დაკონკრეტდეს ეკონომიკაში ვიდეო ლექციების მოსმენის შესაძლებლობის ძირითადი მიზანი - აღნიშნული ლექციები პროგრამაზე სწავლის მსურველებს, განსაკუთრებით არაეკონომიკური ან მონათესავე კვალიფიკაციის არმქონე, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებს, მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ გარკვეული ცოდნა ეკონომიკაში, რომლის საფუძველზეც ჩატარდება ზეპირი გასაუბრება.
- მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამა განეხილა ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას და არა სამართლის სკოლას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ სამართლის სკოლის წარმომადგენლები.
- სასურველია, პროგრამის შემუშავებაში, ასევე, აქტიურად მიეღოს მონაწილეობა ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს (ბაკალავრიატის საფეხური), ასევე, კურსდამთავრებულებსაც.
- კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაში მითითებულია სადიპლომო პროექტი, ხოლო პროგრამაში „სამართალი და ეკონომიკა“ - სამაგისტრო ნაშრომი. აღნიშნული ჩანაწერი დასახელებულ ამ ორ დოკუმენტში შესაბამისობაშია მოსაყვანი.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები საჭიროებს სრულყოფასა და დაზუსტებას (მაგალითად, ცოდნა გაცნობიერების ასპექტში სასწავლო კურსებში „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ წერია: „აღწერს მიკროეკონომიკის მთავარ პრინციპებსა და იდეებს“ ან „აღწერს მაკროეკონომიკის მთავარ პრინციპებსა და იდეებს“ და სხვა. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი აღნიშნულ ნაწილში საჭიროებს სრულყოფას და არა აღწერას);

- ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, სასწავლო პროგრამასა და სილაბუსში მითითებულია საგანი „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“, ხოლო კურიკულუმის რუკაში „სამართლის უზენაესობა და მისი პათოლოგიები“;
- ეკონომიკის მიმართულების მოდულის სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგებში ხაზგასმულია მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური და საერთოდ ეკონომიკური მოდელების გამოყენების უნარების შესახებ. გამომდინარე აქედან, სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომეტრიკა“. იგი შესაძლებლობას მისცემს მაგისტრანტს სრულყოფილად გამოიმუშაოს ეკონომიკური მოდელების პრაქტიკაში გამოყენების უნარები ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე.
- ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე პროგრამის სასწავლო კურსების სასწავლო სილაბუსებში დაემატოს სავალდებულო ლიტერატურაში ქართულენოვანი სახელმძღვანელოები ან მომზადდეს ქართულენოვანი რიდერები.
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის შერჩევა მოხდეს საცდელი ლექციის საფუძველზე.

**ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა რეკომენდაციები დარჩენილიყო უცვლელი. ზეპირი მოსმენის დროს საბჭოზე საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი დეტალურად, ვერბალური განხილვა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

[ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალის \(Journal of Economic Literature\) კლასიფიკაციის](#) თანახმად, „სამართალი და ეკონომიკა“ წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელიც მოიცავს სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზს.

პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალის (Journal of Economic Literature) კლასიფიკაციის თანახმად პროგრამა „სამართალი და ეკონომიკა“ ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, ექსპერტთა აზრით, აღნიშნული განმარტება არარელევანტურია, კერძოდ, პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი უნდა იყოს. ასევე, აღნიშნულია, რომ პროგრამით გამომუშავებული უნარების შესაბამისად, კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. რადგან სამართალი რეგულირებადია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული სამართლის მიმართულებით ვერ შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. შესაბამისად პროგრამის დასახელებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მაგისტრანტების კანდიდატი.

პროგრამის მიზანია ამ მიმართულებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ რეგულირების ეკონომიკური გავლენის შესწავლას და მიღებული შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის არგუმენტირებულად წარდგენას, რაც აერთიანებს შემდეგ კომპეტენციებს:

- ეკონომიკური თეორიის ღრმა და სისტემურ ცოდნასა და მის კრიტიკულ გააზრებას;
- დამოუკიდებლად კვლევის განხორციელების გზით „სამართლის და ეკონომიკის“ მულტიდისციპლინურ გარემოში წამოჭრილი რთული პრობლემების ანალიზსა და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიებას;



- საჭიროებისამებრ, დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავების უნარს.

კვლევითი უნარების გამომუშავების შედეგად კურსდამთავრებულს ასევე შეეძლება სწავლა განაგრძოს დოქტორანტურის საფეხურზე.

პროგრამის დიზაინი სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნის და მისი ყველა ასპექტის რეალიზებას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზით.

პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებისთვის რეგულირების ეკონომიკური ანალიზის კომპეტენციის გამომუშავების გზით ხელი შეუწყოს საჯარო და კერძო სექტორში ეკონომიკური ცვლილებების პირობებში ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, პროგრამის მიზანში ნათლად არის განსაზღვრული ის წვლილი, რომელსაც, პროგრამა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიტანს ეკონომიკის და ზოგადად ინსტიტუციონალური გარემოს განვითარებაში.

შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს მზარდი მოთხოვნა პროგრამის მიზნით გათვალისწინებული კომპეტენციის კურსდამთავრებულებზე. კერძოდ, პროგრამის მიზანშივე ცალსახად არის განსაზღვრული კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივები, რაც მოიცავს კვლევით ინსტიტუტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საჯარო სექტორსა და ეკონომიკაში მოქმედ დიდ კომპანიებს, რომელთა ეფექტიანი ფუნქციონირება ითხოვს მუდმივ კვლევით აქტივობას (ბანკები, სადაზღვევო და საკონსულტაციო კომპანიები).

მთლიანობაში, ზემოთ აღწერილი პროგრამის მიზნები მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან შესაბამისი ცოდნით, უნარებით, ავტონომიურობით, შეძლებენ შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებას და შეძენილი ღირებულებებით ხელს შეუწყობენ საზოგადოებას მეტი თავისუფლების მოპოვებაში, სრულად შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის დეკლარირებულ [მისიას](#).

პროგრამის მიზნები ასახულია პროგრამის შესაბამის სექციაში. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია [უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე](#) და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა, სადაც დეტალურად, ინდიკატორების მეშვეობით არის გაწერილი პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>• საქართველოს უნივერსიტეტის მისია;</li> <li>• შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;</li> <li>• საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალის (Journal of Economic Literature) კლასიფიკაციის თანახმად პროგრამა „სამართალი და ეკონომიკა“ ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, ექსპერტთა აზრით, აღნიშნული განმარტება არარელევანტურია, კერძოდ, პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი უნდა იყოს. ასევე, აღნიშნულია, რომ პროგრამით გამომუშავებული უნარების შესაბამისად, კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. სამართალი რეგულირებადია და აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ამ მიმართულებით ვერ შეძლებს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე. შესაბამისად პროგრამის დასახელებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მაგისტრანტობის კანდიდატი.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას და ჯამურად ემსახურება პროგრამის მიზანს - მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი „სამართალი და ეკონომიკის“ სფეროში. აღნიშნული მიმართება თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში, რომელიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს.

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი მიმართულებით, რაც ეხმიანება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტრუქტურას (**შენიშვნა:** ქვემოთ მოცემულია სწავლის შედეგების შეჯამება).

პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება „სამართალი და ეკონომიკის“ დარგში კომპლექსური პრობლემების გააზრებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო ცოდნა, რაც მოიცავს:

- ღრმა და სისტემურ ცოდნას ეკონომიკურ თეორიაში
- სამართალი და ეკონომიკის დარგში კომპლექსური პრობლემების კრიტიკული გააზრებისთვის აუცილებელ ცოდნას სამართალში, რაც მოიცავს სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნას;

გარდა ამისა, კურსდამთავრებულს ექნება აკადემიური წერის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და საერთაშორისოდ დამკვიდრებული ტექნიკური სტანდარტების ცოდნა.

პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს რეგულირების ეკონომიკურ ანალიზს, „სამართალი და ეკონომიკის“ სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზების შემუშავებას, კვლევების დამოუკიდებლად განხორციელებას და შესაბამისი შედეგების/მოსაზრებების აუდიტორიისთვის გაზიარებას.

პროგრამის კურსდამთავრებული გამოიმუშავებს ინფორმაციის მოძიებისა და სინთეზირების გზით დამოუკიდებლად ცოდნის გაფართოვების უნარს. ასევე,

კურსდამთავრებული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო, მათ შორის, კვლევითი კომპონენტების მაგალითზე, პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს.

ზემოთ აღწერილი კომპეტენციებს კურსდამთავრებული გამოიმუშავებს პროგრამის ძირითადი კურსების დაძლევის ხარჯზე, რაც მოიცავს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემას, ასევე, პრაქტიკულ კვლევით კომპონენტებს. სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართება თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი კურიკულუმის რუკაში, რომელიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს და ძირითად ნაწილში ხაზს უსვამს სწავლის შედეგების რეალისტურობასა და მიღწევადობას, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაძლოა სამართალი და ეკონომიკის დარგში კომპლექსური პრობლემების კრიტიკული გააზრებისთვის სამართალში აუცილებელი ცოდნის (სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის) მიღების შესახებ სწავლის შედეგი არ იყოს რეალისტური და მიღწევადი შემდეგი გარემოებების გამო:

სამართლის მიმართულებით პროგრამის სავალდებულო კომპონენტი შეიცავს ორ 6 კრედიტიან სასწავლო კურსს „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“ და „მოსამართლის ვალდებულება და სასამართლო ხელისუფლება“, ხოლო არჩევით მოდულში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს სამართლებრივი თემატიკის ორი სასწავლო კურსი: „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“ და „გამოხატვის თავისუფლება შედარებით პერსპექტივაში“. თავად აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, თუმცა, საბოლოო ჯამში, საკითხი დგება, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული სასწავლო კურსების (ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, საუბარია სავალდებულო სასწავლო კურსებზე „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“ და „მოსამართლის ვალდებულება და სასამართლო ხელისუფლება“) სწავლის შედეგების გათვალისწინებით სამართალი და ეკონომიკის დარგში კომპლექსური პრობლემების კრიტიკული გააზრებისთვის სამართალში აუცილებელი ცოდნის - სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის - სწავლის შედეგის მიღწევა და, საბოლოო ჯამში, პროგრამის ძირითადი მიზნის მიღწევა - *„მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება ეკონომიკის მიმართულებით - „სამართალი და ეკონომიკა“; რომელიც მოიცავს სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზს“*.

ამასთან, პროგრამის ძირითადი მიზნის მიღწევადობასთან დაკავშირებით დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“ სასწავლო კურსის ძირითადი მიზანი სამართლის სისტემის ძირითადი ღირებულებების, ცნებებისა და ინსტიტუტების გაცნობაა (სამართლის სისტემის ძირითადი ელემენტები, სამართლის ძირითადი ღირებულებები, მათ შორის სამართლის უზენაესობა, როგორც ძირითადი ღირებულება, სამართლის უზენაესობის თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემისა და დებატის ანალიზი და გაცნობიერება და სხვ.), ხოლო „მოსამართლის ვალდებულება და სასამართლო ხელისუფლება“ სასწავლო კურსი ორიენტირებულია მოსამართლის ვალდებულებისა და სამოსამართლო ფილოსოფიის ცნებების ნორმატიული თეორიების სიღრმისეულ შესწავლაზე, სასამართლო ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძვლების

სიღრმისეულ შესწავლაზე სამოსამართლო ფილოსოფიისა და სასამართლოს ინსტიტუციური პოლიტიკის სხვადასხვა თეორიებთან კავშირში, განსხვავებული სამოსამართლო ფილოსოფიისა და სასამართლოს ინსტიტუციური პოლიტიკის თეორიების მოქმედების შედეგების შესწავლასა და გააზრებაზე კონსტიტუციურ სისტემაში, თეორიული და ნორმატიული ცნებების ცოდნის მეშვეობით მოქმედი ინსტიტუტების განსაკუთრებით საქართველოს სასამართლო ინსტიტუტების კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებასა და იმ ფუძემდებლურ ღირებულებების გათავისებაზე, რომლებიც ქმნიან სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციურ და საზოგადოებრივ ლეგიტიმაციას. ინტერვიუს პროცესში წამოჭრილ ექსპერტთა შეკითხვასთან დაკავშირებით, რამდენად რელევანტურია აღნიშნული კურსის სწავლება პროგრამის იმ ძირითადი მიზნის მისაღწევად, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს სამართლებრივი საკითხების ეკონომიკური ანალიზი, პროგრამის ხელმძღვანელმა და თავად სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორმა განმარტა, რომ აღნიშნული თვალსაზრისით ეკონომისტისათვის, რომელიც სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზს ახორციელებს და ამ თვალსაზრისით მოუწევს სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სასამართლო ხელისუფლების შესახებ ცოდნის მიღება ზოგად კონტექსტში, მათ შორის, თუ როგორ ოპერირებს სასამართლო ხელისუფლება (კონსტიტუციურ-სამართლებრივი პერსპექტივა, სამართლის ფილოსოფიის პერსპექტივა, პოლიტიკური მეცნიერების პერსპექტივა) და არ არის ორიენტირებული თუნდაც სამართლის ელემენტების შესახებ სტუდენტის მიერ სიღრმისეული ცოდნის მიღებაზე. ბუნებრივია, რომ სავალდებულო მოდულის ფარგლებში დასახელებული სასწავლო კურსების შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება ეკონომისტს გარკვეული თვალსაზრისითა და გარკვეულ ხარისხში სამართლებრივი საკითხის ეკონომიკურ ანალიზში, თუმცა, საკითხი დგება, თუ რამდენად საკმარისია ჯამში 12 კრედიტის ფარგლებში მიღებული ამ თეორიული და ფილოსოფიური ასპექტების შესახებ ცოდნის საფუძველზე ეკონომისტმა, რომელსაც სპეციალური იურიდიული განათლება არ გააჩნია (ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული განათლება არ მოითხოვება პროგრამაზე პირის ჩასარიცხად), შეძლოს ეკონომიკური ანალიზის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე (რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივ დისციპლინებს უკავშირდება და სპეციალურ სამართლებრივ ცოდნას მოითხოვს სამართლებრივი საკითხის სამართლებრივად გააზრებისათვის).

ზემოთ აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 საფეხურის კვალიფიკაციის სირთულეს. კერძოდ:

- პროგრამა უზრუნველყოფს „სამართალი და ეკონომიკის“ სფეროს ღრმა, სისტემურ შესწავლას, რაც ერთი მხრივ მოიცავს, ეკონომიკის თეორიის სიღრმისეულ ცოდნას, ხოლო მეორე მხრივ, სფეროს სისტემურად გასააზრებლად საჭირო თეორიულ საკითხებს სამართლის მიმართულებით;

- პროგრამის დიზაინი განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას უთმობს პრაქტიკულ ანალიტიკურ/კვლევით პროექტებს, რომელთა შესრულების გზითაც კურსდამთავრებული შეძლებს „სამართალი და ეკონომიკის“ მულტიდისციპლინურ გარემოში ორიენტირებას,

აღნიშნულ სფეროში პრობლემების გადასაწყვეტად ინფორმაციის შეგროვებას, სინთეზირებას, კრიტიკულ ანალიზს, გააცნობს თავის მოსაზრებებს საზოგადოებას;

- ზემოთ დასახელებული პრაქტიკული კომპონენტების რეალიზების გზით კურსდამთავრებული ასევე გამოიმუშავებს ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა და პატივი სცეს აკადემიური პატიოსნების წესებს.

შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ, პროგრამა სტუდენტს უვითარებს ეკონომიკის სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას და უზრუნველყოფს კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

საჯარო სექტორის მხრიდან მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა რეგულირების გავლენის შეფასებაზე (RIA). ამის საპასუხოდ, დამატებულია კერძოდ RIA-ზე ფოკუსირებული საგანი.

საბანკო სექტორში და არასამთავრობო ორგანიზაციებში მკვლევარებზე არსებული მოთხოვნის საპასუხოდ, გაძლიერებულია კვლევითი აქტივობები.

პროგრამაში დამოუკიდებელ მუშაობაზეა გაკეთებული აქცენტი, რაც არა მხოლოდ სხვა ქვეყნებში არსებული წარმატებული პროგრამების დამახასიათებელია, არამედ ასევე მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე.

კვლევითი აქტივობების მრავალფეროვნება დამატებით კარგ ფუნდამენტს ქმნის აკადემიური კარიერის დაწყებისთვის, მათ შორის, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის.

შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული პროგრამის შემუშავებისას უფრო ფართოდ არის აღწერილი შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზში, რომელიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს.

პროგრამის შემუშავებისა და პროგრამისთვის რელევანტური/მიღწევადი სწავლის შედეგების განსაზღვრაში სკოლის დირექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად ჩართული იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის/დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები და საზღვარგარეთის უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამების გამოცდილება.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შეფასება განხორციელდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდით. პირდაპირი მეთოდი მოიცავს სწავლის შედეგებთან მიმართებაში სტუდენტთა შეფასებების ანალიზსა და სტუდენტების გამოკითხვას. არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს დაინტერესებული პირების (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის) გამოკითხვას. როგორც პირდაპირი, ასევე

არაპირდაპირი გზით პროგრამის შეფასების პერიოდულობა დადგენილია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით.  
 პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომელთან მიმართებაშიც პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ მოხდება სწავლის შედეგების მონიტორინგის შედეგებთან შედარება.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;
  - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
  - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
  - პროგრამის შედეგაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
  - კურიკულუმის რუკა;
  - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი/გეგმა;
  - სამიზნე ნიშნულები;
  - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

სამართალი და ეკონომიკის დარგში კომპლექსური პრობლემების კრიტიკული გააზრებისთვის სამართალში აუცილებელი ცოდნის (სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების სამართლებრივი საფუძვლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის) მიღების შესახებ სწავლის შედეგის რეალისტურობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში აღნიშნული კომპონენტი გაძლიერდეს შესაბამისი სამართლის საგნებით ან განხორციელდეს სწავლის შედეგის კორექტირება პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სამართლის საგნების გათვალისწინებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
  -

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

### 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.



## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტში სამართლისა და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება შემდეგი წინაპირობების გათვალისწინებით:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად;
- ინგლისურ ენაში (წერითი) გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში ან ინგლისური ენის არანაკლებ B2 (Upper Intermediate) დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის არსებობისას (IELTS 5-6, TOEFL iBT 35-59, TOEIC 526-750, CAMBRIDGE FCE);
- ზეპირი გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში;
- ადმინისტრაციული რეგისტრაციის და უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.

დაწესებულების მიერ, პროგრამაზე მიღების გამოცხადების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გააქტიურებული ბმულის საშუალებით მსურველს შესაძლებლობა აქვს იხილოს ინგლისური ენის საგამოცდო ტესტების ნიმუშები. ასევე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პორტალზე აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრაციას, სადაც მათ საშუალება მიეცემათ, მოუსმინონ ვიდეო ლექციების კურსს ეკონომიკაში, რომლის საფუძველზეც ჩატარდება ზეპირი გასაუბრება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ვიდეო ლექციები საშუალებას აძლევს მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებს (უმთავრესად არაეკონომიკური განათლების მქონე პირებს), მიიღონ გარკვეული ცოდნა ეკონომიკური საკითხების შესახებ, რაც დაეხმარებათ მათ, წარმატებით გაიარონ გასაუბრების ეტაპი.

გამომდინარე აქედან, დაწესებულება ძირითადად უზრუნველყოფს სწავლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) მხოლოდ იმ კანდიდატთა ჩართვას, რომლებსაც ექნებათ პროგრამის დასაძლევად ყველა წარმოდგენილი კომპეტენცია. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს:

პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ პროგრამა უფრო მეტად განკუთვნილია სამართლის პროფილის კურსდამთავრებულებისთვის, თუმცა, ბუნებრივია, არ არის შეზღუდვა სხვა ნებისმიერი (თუნდაც ჰუმანიტარული) სპეციალობის კანდიდატთა მიღების მიმართ. ვფიქრობთ, აღნიშნულმა შეიძლება წარმოშვას გარკვეული პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია, წარმოდგენილი პროგრამის ჩარჩოში, მომზადდეს „ეკონომიკის მაგისტრის“ მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც სიღრმისეულად

გათვითცნობიერებს სამართლისა და ეკონომიკის ძირითად ასპექტებს და, საბოლოო ჯამში, შეძლებს სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის ეკონომიკურ ანალიზს. გამომდინარე აქედან, სასურველია, პროგრამაში განისაზღვროს წინაპირობები პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის, კერძოდ, დაწესდეს აღნიშნულ პირთა გარკვეული კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანი და გამჭვირვალეა, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და სწავლის შედეგებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებას პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში ვიდეო ლექციების მოსმენასთან დაკავშირებული ჩანაწერის მეტად კონკრეტიზაციასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებისათვის შესაძლებლობის მიცემა, გასაუბრების ეტაპამდე მოუსმინონ ჩანაწერს და მიიღონ გარკვეული ცოდნა ეკონომიკური საკითხების შესახებ, უმთავრესად განკუთვნილია ეკონომიკური განათლების არმქონე პირებისათვის, სასურველია, დაკონკრეტდეს ეკონომიკაში ვიდეო ლექციების მოსმენის შესაძლებლობის ძირითადი მიზანი - აღნიშნული ლექციები პროგრამაზე სწავლის მსურველებს, განსაკუთრებით არაეკონომიკური ან მონათესავე კვალიფიკაციის არმქონე, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებს, მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ გარკვეული ცოდნა ეკონომიკაში, რომლის საფუძველზეც ჩატარდება ზეპირი გასაუბრება.

წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან ([www.ug.edu.ge](http://www.ug.edu.ge)). ვებ-გვერდზე, ასევე, განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს, დამატებითი კონსულტაციისთვის დაუკავშირდნენ უნივერსიტეტს (მათ შორის: სკოლის ხელმძღვანელს).

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის „სამართლი და ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო პროგრამა „სამართლი და ეკონომიკა“;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ([www.ug.edu.ge](http://www.ug.edu.ge));
- ინტერვიუები ხარისხის მართვის სამსახურის, ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

#### **რეკომენდაციები:**

- პროგრამაზე მიღება საჭიროებს პროგრამაზე სწავლის მსურველ პირთა გარკვეული უნარების არსებობას, სასურველია, გადაიხედოს წარმოდგენილი პროგრამის ჩარჩოში, რამდენად არის შესაძლებელი, მომზადდეს „ეკონომიკის მაგისტრის“ მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც გაათვითცნობიერებს სამართლისა და ეკონომიკის ძირითად ასპექტებს სიღრმისეულად და, საბოლოო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შეძლებს სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის

ეკონომიკურ ანალიზს. გამომდინარე აქედან, სასურველია, პროგრამაში განისაზღვროს წინაპირობები პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის, კერძოდ, დაწესდეს აღნიშნულ პირთა გარკვეული კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებისათვის შესაძლებლობის მიცემა, გასაუბრების ეტაპამდე მოუსმინონ ჩანაწერს და მიიღონ გარკვეული ცოდნა ეკონომიკური საკითხების შესახებ, უმთავრესად განკუთვნილია ეკონომიკური განათლების არმქონე პირებისათვის, სასურველია, დაკონკრეტდეს ეკონომიკაში ვიდეო ლექციების მოსმენის შესაძლებლობის ძირითადი მიზანი - აღნიშნული ლექციები პროგრამაზე სწავლის მსურველებს, განსაკუთრებით არაეკონომიკური ან მონათესავე კვალიფიკაციის არმქონე, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებს, მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ გარკვეული ცოდნა ეკონომიკაში, რომლის საფუძველზეც ჩატარდება ზეპირი გასაუბრება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
  - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის გამოყენებით, კერძოდ, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას ახდენს სკოლის დირექტორი ან/და შესაბამის სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსი, რომელიც სკოლის საბჭოს წარუდგენს დასკვნას პროგრამის მიზანშეწონილობის შესახებ.

სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს/სამსახურებს. შესაბამისი დოკუმენტების შემუშავების შემდეგ, სტრუქტურული ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს თვითშეფასების, პროგრამისა და სილაბუსების უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებებთან შესაბამისობას. ადამიანური რესურსების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფას ახდენს საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

სკოლის საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში, პროგრამა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და დამტკიცებისთვის გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში პროგრამას სრულად გავლილი აქვს ყველა საფეხური.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოში სამაგისტრო სწავლების საფეხურისთვის წარმოდგენილ აღწერას. პროგრამის შინაარსი და მასში წარმოდგენილი ელემენტი უზრუნველყოფს სწავლის საფეხურისთვის შესაბამისი დონის სწავლის შედეგების რეალიზებას. პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შესრულების საფუძველზე სტუდენტი იძენს სფეროს სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას, უვითარდება აღნიშნულ სფეროში წამოჭრილი კომპლექსური პრობლემების ანალიზის, გადაჭრის, ამ მიზნით დამოუკიდებლად კვლევის წარმოების უნარი.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS, რაც მოიცავს: პროგრამის ძირითადი კომპონენტების 96 ECTS-ს და პროგრამის არჩევითი კომპონენტების 24 ECTS. პროგრამის მოდულები წარმოდგენილია შემდეგი სახით: I მოდულის ფარგლებში, რომელიც აერთიანებს სასწავლო კურსებს ეკონომიკაში და

სრულდება სასწავლო სემინარი I-ით, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 26 ECTS. II მოდულის ფარგლებში, რომელიც აერთიანებს 2 სასწავლო კურსს სამართალში, ინტერდისციპლინურ კურსს სამართალსა და ეკონომიკაში და სრულდება სასწავლო სემინარი II-ით, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 26 ECTS. III მოდულში სტუდენტი სავალდებულოდ გადის RIA-რეგულირების გავლენის შეფასებას და აგროვებს 14 ECTS-ს და არჩევითი საგნების ფარგლებში არჩეული კურსების ხარჯზე აგროვებს 24 ECTS-ს. პროგრამას ასრულებს IV მოდული - სადიპლომო პროექტი 30 ECTS-ს მოცულობით. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაში მითითებულია სადიპლომო პროექტი, ხოლო პროგრამაში „სამართალი და ეკონომიკა“ - სამაგისტრო ნაშრომი. აღნიშნული ჩანაწერი დასახელებულ ამ ორ დოკუმენტში შესაბამისობაშია მოსაყვანი.

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების გამოყენებით, უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სფეროს თანმიმდევრულ შესწავლას. პირველ რიგში, წინაპირობები მნიშვნელოვანია კვლევითი უნარებზე ორიენტირებულ საგნებისთვის, რომლებიც პროგრამაში თანმიმდევრულად არიან წარმოდგენილნი. მაგალითად, „რეგულირების გავლენის შეფასების“ წარმატებით დასაძლევად სტუდენტს უნდა ჰქონდეს ცონდა ეკონომიკასა და სამართალში და ასევე, უნდა ფლობდეს. კვლევის მეთოდებს. სასწავლო კურსი „სამართალი და ეკონომიკა“ პროგრამისთვის საკვანძო საგანია და მისი წინაპირობა მოიცავს როგორც ეკონომიკის, ასევე სამართლის მოდულის საგნებს. სადიპლომო პროექტის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გასვლისთვის, სტუდენტს უნდა ჰქონდეს დაგროვებული 90 კრედიტი (I და II მოდულის ფარგლებში 52 კრედიტი, - რეგულირების გავლენის შეფასება-14 კრედიტი და არჩევითი კომპონენტების 24 კრედიტი.), მათ შორის, ჩაბარებული უნდა იყოს ყველა სავალდებულო საგანი. კრედიტების საჭირო რაოდენობის (120 ECTS) დაგროვების საფუძველზე კურსდამთავრებულს ენიჭება „**ეკონომიკის მაგისტრის**“ კვალიფიკაცია.

პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ანალიზმა მოგვცა შემდეგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა. ექსპერტთა მოსაზრებით, სასწავლო პროგრამის სტრუქტურა, მისი შინაარსი და სწავლის შედეგების გაცნობა გარკვეულ შეუსაბამობებს ქმნის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან -**ეკონომიკის მაგისტრი**- მიმართებით. დაწესებულების მიერ აღნიშნულია, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და აღნიშნავენ, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, ეკონომიკის კვალიფიკაციის ქვეშ გაერთიანებულია ეკონომიკის პოლიტიკის, თეორიისა და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების შესწავლა, ასევე, ასაბუთებენ, რომ მასში განსაკუთრებით გაძლიერებულია ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების მხარე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი ვერ ხედავენ ამ მიმართულებით შეუსაბამობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსები, როგორც ეკონომიკის, ასევე სამართლის მიმართულებით (ასევე მასში ჩართულია საერთო სასწავლო კურსებიც, მაგალითად, „სამართალი და ეკონომიკა“). მთლიანობაში პროგრამის შინაარსი უფრო ინტერდისციპლინურია. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ მისანიჭებელი

კვალიფიკაცია „ეკონომიკის მაგისტრი“ და წარმოდგენილი პროგრამა „სამართალი და ეკონომიკა“ გარკვეულ შეუსაბამობებს ქმნის.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გაძლიერდეს ეკონომიკური მიმართულების სასწავლო კურსებით (თუნდაც არჩევითი კურსის სახით), მაგალითად, მაკროეკონომიკური პროგნოზირება, ეკონომეტრიკა და სხვა.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა); უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, მათთვის პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება და შესაბამისი უკუკავშირების მიღება. განხორციელებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, ასევე, გათვალისწინებულია უნივერსიტეტში არსებული მომიჯნავე პროგრამის - ეკონომიკის და სამართლის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. მიღებული უკუკავშირები (შენიშვნები) გათვალისწინებულია პროგრამის შინაარსში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის შედგენაში ჩართული იყო ყველა წარმოდგენილი მხარე, მაგრამ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ მათი ჩართულობა არ იყო აქტიური, კერძოდ, მათ არ მიუღიათ მონაწილეობა პროგრამის დამუშავებაში, ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა ინტერვიუ შემდგარიყო ეკონომიკის პროფილის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამა განხილულია უნივერსიტეტის სამართლის სკოლის გაფართოებულ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეოდა პროგრამის დამუშავებაში მონაწილე ყველა მხარე (სამართლის სკოლის დირექტორი, სამართლის სკოლის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულები, სტუდენტები, პოტენციური დამსაქმებლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები). საბოლოო სახით პროგრამა წარედგინა ისევ სამართლის სკოლის საბჭოს, რომლის წარდგინებითაც იგი დაამტკიცა უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ. როგორც ყველა პროგრამა, ასევე აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამაც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შემდგომ გახდება საჯარო და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოითქვა გარკვეული მოსაზრება, კერძოდ, წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, პროგრამა ჯობდა განეხილა ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა

სკოლას (და არა სამართლის სკოლას) და მის განხილვანში მიეღო მონაწილეობა სამართლის სკოლის წარმომადგენლებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის „სამართლი და ეკონომიკა“ თვითშეფასება ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ან/და წესი;
- სამაგისტრო პროგრამა „სამართლი და ეკონომიკა“;
- სამაგისტრო პროგრამის „სამართლი და ეკონომიკა“ კურიკულუმის რუკა;
- სამაგისტრო პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, სკოლის საბჭოს შესაბამისი ოქმები;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ, 10 აპრილი, 2019 წელი);
- ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის შინაარსი უფრო ინტერდისციპლინურია. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გაძლიერდეს ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსებით, რომელთა დამატება უფრო მდგრადს გახდის პროგრამას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამა განეხილა ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას და არა სამართლის სკოლას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ სამართლის სკოლის წარმომადგენლები.
- სასურველია, პროგრამის შემუშავებაში, ასევე, აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს (ბაკალავრიატის საფეხური), ასევე, კურსდამთავრებულებსაც.
- კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაში მითითებულია სადიპლომო პროექტი, ხოლო პროგრამაში „სამართალი და ეკონომიკა“ - სამაგისტრო ნაშრომი. აღნიშნული ჩანაწერი დასახელებულ ამ ორ დოკუმენტში შესაბამისობაშია მოსაყვანი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში ხდება სტუდენტებისთვის ორივე სფეროს (ეკონომიკა და სამართალი) შესახებ ცოდნის გადაცემა, პრობლემატიკის ანალიზის, გადაწყვეტის, კვლევის უნარების გამომუშავება, სტუდენტი იძენს აკადემიური პატიოსნების ღირებულებებს და ივითარებს ცოდნის გაფართოების უნარს. აღნიშნული მიმართება დეტალურად არის განმარტებული კურიკულუმის რუკაში, რომელიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს.

როგორც ავღნიშნეთ, პროგრამა მოიცავს სულ - 120 ECTS, მათ შორის სავალდებულო - 96 ECTS, ხოლო არჩევითი -24 ECTS. სწავლის შედეგები მეტწილად წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ კრედიტების განაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალის მოცულობიდან. პროგრამის სასწავლო კურსებს, სემესტრების შესაბამისად, გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე



დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. პროგრამის სტრუქტურა ადეკვატურია სტუდენტისთვის და ლოგიკურად აღსაქმელი.

საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები უმთავრესად შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკა. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსით გათვალისწინებულ შედეგებს.

ექსპერტთა მოსაზრებით, სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები საჭიროებს სრულყოფასა და დაზუსტებას, მაგალითად, ცოდნა გაცნობიერების ასპექტში სასწავლო კურსებში „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ წერია: „აღწერს მიკროეკონომიკის მთავარ პრინციპებსა და იდეებს“ ან „აღწერს მაკროეკონომიკის მთავარ პრინციპებსა და იდეებს“ და სხვა. ექსპერტთა მოსაზრებით, წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი აღნიშნულ ნაწილში საჭიროებს სრულყოფას და არა აღწერას, მაგალითად, შეუძლია სილრმისეულად გაანალიზოს მაკროეკონომიკის/ან მიკროეკონომიკის ძირითადი პრინციპები და მოდელები.“

სასწავლო კურსის სილაბუსები მეტწილად უზრუნველყოფილია უახლესი ლიტერატურით, გამონაკლის შემთხვევებში წარმოდგენილია შედარებით ძველი, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კლასიკური და თანამედროვე სწავლებაში აღიარებული ლიტერატურა. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში ([ug.edu.ge/library](http://ug.edu.ge/library)). სტუდენტს, მის ელექტრონულ ბაზაში, „ჩემი UG“-ს მეშვეობით, აქვს შესაძლებლობა შეუკვეთოს სილაბუსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ქსეროასლები, ან შეიძინოს UG წიგნების მაღაზიაში. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: HINARI, ELSEVIER, JSTOR, HeinOnline. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ სახლის პირობებშიც მოახდინოს ლიტერატურის გამოყენება.

სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სწავლების შედეგებს შეესაბამება ასევე თითოეული საგნის დატვირთვა, რომელიც გამოიხატება კრედიტების სისტემაში (ECTS), სადაც 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. აღნიშნული საათები მოიცავს როგორც საკონტაქტო (ლექცია, სემინარი და სხვ.), ასევე, არასაკონტაქტო (დამოუკიდებელი სამუშაო) დროს. საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ისევე როგორც მათი თანაფარდობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სპეციფიკას.

თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების მეთოდები/ფორმები უზრუნველყოფენ ამ საგნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასებას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე, შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს პირველ რიგში, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის

შედეგების, ხოლო სასწავლო კურსების ერთობლიობაში - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების, სხვა დოკუმენტაციის, ასევე, ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუებიდან გამოვლენილ გარემოებების გათვალისწინებით, პროგრამის კომპონენტების შინაარსის, დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები.

აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს მოეთხოვებათ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ქართულენოვანი პროგრამისა და დროის ფაქტორის (სწავლებაზე დახარჯული შრომა) გათვალისწინებით რეკომენდირებულია საგნებში „მიკროეკონომიკა“; „მაკროეკონომიკა“; „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და სხვა სასწავლო კურსებში ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლო სილაბუსებში გამოყენებული იყოს ქართულენოვანი სახელმძღვანელოებიც (როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ლიტერატურის სახით), ან მომზადდეს ქართულენოვანი რიდერები. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსებში არის თარგმნილი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამებიან სწავლების შესაბამის დონეს. მაგალითად: ვალტერ ნიკოლსონი, ქრისტოფერ სნაირედი, მიკროეკონომიკის თეორია -ძირითადი პრინციპები და გავრცობა. თარგმანი ინგლისურიდან, თსუ გამომც., 2014; ანდერსენი დ., სვინი დ., უილიამსი თ. სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის. მე-11 გამოცემა, თარგმანი ინგლისურიდან, თსუ გამომც., 2015.

ეკონომიკის მიმართულების მოდულის სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგებში ხაზგასმულია მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური და საერთოდ ეკონომიკური მოდელების გამოყენების უნარების შესახებ. გამომდინარე აქედან, სასურველია აღნიშნულ ბლოკში ან არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომეტრიკა“. იგი შესაძლებლობას მისცემს მაგისტრანტს სრულყოფილად გამოიმუშაოს ეკონომიკური მოდელების პრაქტიკაში გამოყენების უნარები ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე.

სასწავლო პროგრამასა და სილაბუსში მითითებულია საგანი „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“, ხოლო კურიკულუმის რუკაში „სამართლის უზენაესობა და მისი პათოლოგიები“; აღნიშნული ხარვეზი საჭიროებს დაზუსტებას.

სასწავლო კურსებში: „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“ და „მოსამართლის ვალდებულება და სასამართლო ხელისუფლება“ გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, ვ. ნაცვლიშვილი, დ. ზედელაშვილი. სასწავლო კურსებში გადაიხედოს გამოყენებული ლიტერატურა და მოხდეს მისი განახლება, მაგალითად, სასწავლო კურსები: „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“, „მაკროეკონომიკა“, „სამართალი და ეკონომიკა“ და სხვა.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;

- სამაგისტრო პროგრამა „სამართალი და ეკონომიკა“;
- სამაგისტრო პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ კურიკულუმის რუკა;
- სამაგისტრო პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ სილაბუსები;
- ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსის სილაბუსები განახლდეს უახლესი ლიტერატურით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები საჭიროებს სრულყოფასა და დაზუსტებას (მაგალითად, ცოდნა გაცნობიერების ასპექტში სასწავლო კურსებში „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ წერია: „აღწერს მიკროეკონომიკის მთავარ პრინციპებსა და იდეებს“ ან „აღწერს მაკროეკონომიკის მთავარ პრინციპებსა და იდეებს“ და სხვა. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი აღნიშნულ ნაწილში საჭიროებს სრულყოფას და არა აღწერას);
- ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, სასწავლო პროგრამასა და სილაბუსში მითითებულია საგანი „სამართლის უზენაესობა და სამართლის სისტემა“, ხოლო კურიკულუმის რუკაში „სამართლის უზენაესობა და მისი პათოლოგიები“;
- ეკონომიკის მიმართულების მოდულის სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგებში ხაზგასმულია მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური და საერთოდ ეკონომიკური მოდელების გამოყენების უნარების შესახებ. გამომდინარე აქედან, სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომეტრიკა“. იგი შესაძლებლობას მისცემს მაგისტრანტს სრულყოფილად გამოიმუშაოს ეკონომიკური მოდელების პრაქტიკაში გამოყენების უნარები ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე.
- ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე პროგრამის სასწავლო კურსების სასწავლო სილაბუსებში დაემატოს სავალდებულო ლიტერატურაში ქართულენოვანი სახელმძღვანელოები ან მომზადდეს ქართულენოვანი რიდერები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება განდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას.

პირველ რიგში, სტუდენტები ამგვარ უნარებს გამოიმუშავენ პროგრამის ძირითადი ნაწილის დამლევს შედეგად. სასწავლო კურსები „კვლევითი სემინარი 1“, „კვლევითი სემინარი 2“, „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ სტუდენტს უვითარებს აკადემიური კვლევის განხორციელებისა და შესაბამისი ნაშრომის მომზადების უნარს, რასაც სტუდენტი პრაქტიკულად ახორციელებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული ისეთი სასწავლო კურსი, როგორცაა „რეგულირების გავლენის შეფასება“, სადაც სტუდენტები საჭირო თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად პრაქტიკულად მუშაობენ რეგულირების გავლენის შეფასების პროექტზე.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სამართლის სკოლასთან არსებულ კვლევით ინსტიტუტთან ერთად/ინსტიტუტის ფარგლებში პერიოდულად ატარებენ კვლევებს საქართველოში არსებულ რეგულაციების და რეფორმების გავლენის შესაფასებლად. ტარდება კვლევების პრეზენტაციები, დისკუსიები და კონფერენციები. თავის მხრივ, პროგრამის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ამ კვლევებში მონაწილეობა, დაესწრონ დისკუსიებს, პრეზენტაციებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები, მათ შორის: Freedom Club, რომელიც უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის რიგ საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს/მხარს უჭერს პროფესიული ტრენინგების და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის „სამართლი და ეკონომიკა“ თვითშეფასება ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა „სამართლი და ეკონომიკა“;
- სამაგისტრო პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ სილაბუსები;
- ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ და დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა;
- ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების მეთოდების სახელმძღვანელოსთან შესაბამისობაში სამართალი და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამისთვის შერჩეულია სფეროსთვის/სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი სწავლების მეთოდები: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გუნდური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ინტერაქტიული ლექციები, ლიტერატურის მიმოხილვა, პრეზენტაციების წარდგენა, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები, შესაბამისი ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, წერითი მუშაობის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი. აღსანიშნავია შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (Case Study) - რომელიც ფაქტობრივად პროგრამაში არსებულ ყველა საგანში არის გამოყენებული. რეალური ეკონომიკის კონკრეტული შემთხვევების ანალიზით მიიღწევა ის ცოდნის სიღრმე, რომელიც აუცილებელია მაგისტრატურაში. გარდა ამისა, შემთხვევის ანალიზი ხელს უწყობს კვლევის უნარების გამომუშავებას.</p> <p>პროგრამაში მნიშვნელოვანია პროექტებზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Learning), რომლის მეშვეობითაც სტუდენტები პრაქტიკულად მუშაობენ განსაზღვრულ პრობლემატიკასა და კვლევით პროექტებზე, აღნიშნული უზრუნველყოფს მაგისტრებისთვის პრაქტიკული უნარებისა და ავტონომიურობის განვითარებას.</p> <p>თითველ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს პირველ რიგში - კურსით, ხოლო საბოლოო ჯამში - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ თვითშეფასება ანგარიში;</li> <li>• სამაგისტრო პროგრამა „სამართალი და ეკონომიკა“;</li> <li>• სამაგისტრო პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ სილაბუსები;</li> <li>• ინტერვიუ (დისტანციური) პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით; სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორ სახის უარყოფით შეფასებას.

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სამაგისტრო დებულება ადგენს სტუდენტის შეფასების სისტემას. დებულების თანახმად, სტუდენტის შეფასების ფორმებია: ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი); რეფერატი ან სხვა ინდივიდუალური ან გუნდური აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს პრეზენტაციას; შუალედური გამოცდა/კოლოქვიუმი; პრაქტიკული უნარების შეფასება; დასკვნითი გამოცდა.

თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს დასახელებული შეფასების ფორმებიდან რამდენიმეს. შეფასების ფორმები შესაბამის შეფასების კრიტერიუმებთან ერთად წარმოდგენილია კურსის სილაბუსში და აქედან გამომდინარე, წინასწარ არის ცნობილი სტუდენტისთვის. სამაგისტრო დებულებით დადგენილია შეფასების გასაჩივრების წესი. აღნიშნული დებულება გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშით დასტურდება, რომ უსდ სტუდენტები უკუგებას იღებენ როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასების ეტაპზე. სამართლის სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარები საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეაფასონ ლექტორისგან უკუგების მიღების რიგი ასპექტები. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად, გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები.

უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მართვის მიზნით ასევე აძლევს საშუალებას ლექტორებს პორტალზე ატვირთულ ნაშრომებზე გააკეთონ შესაბამისი კომენტარები/შენიშვნები.

რაც შეეხება, სამაგისტრო ნაშრომს, მისი შეფასება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების შესაბამისად ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასების სახით. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია სამაგისტრო სწავლების დებულებით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის „სამართლი და ეკონომიკა“ თვითშეფასება ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა „სამართლი და ეკონომიკა“;
- სამაგისტრო პროგრამის „სამართალი და ეკონომიკა“ სილაბუსები;
- ინტერვიუ (დისტანციური) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

#### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები



<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ინფორმაციას იღებს სკოლის დირექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისგან. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი და სილაბუსები განთავსებულია ვებ-გვერდზე [www.ug.edu.ge](http://www.ug.edu.ge). „ჩემი ug“ ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, საჯარო ლექციების და სხვადასხვა აქტივობების შესახებ, შესაბამისად, მათ სურვილზეა დამოკიდებული ამ აქტივობებში მონაწილეობის მიღება. ასევე მათ შესაძლებლობა აქვთ ამ სისტემის დახმარებით ელექტრონულად დაწერონ განცხადება, კომუნიკაცია ჰქონდეთ ლექტორებთან, ნახონ მათი შეფასება, სილაბუსები და ა.შ.

საქართველოს უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხადასხვა უნივერსიტეტებთან, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით, ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში.

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური აქტიურად არის ჩართული კურსდამთავრებულების და სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე, სტუდენტები და კურსდამთავრებული ინტერვიუების დროს აღნიშნავენ, რომ მათ ხშირად უკავშირდებოდნენ უნივერსიტეტიდან, ინტერესდებოდნენ მათი კარიერით და ასევე ეგზავნებოდათ ვაკანსიები.

სილაბუსებში და ლექტორების ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კვირაში მინიმუმ 2 საათი საკონსულტაციო შეხვედრებისთვის, სტუდენტების თქმით მათ უშუალო ურთიერთობა აქვთ ლექტორებთან და ნებისმიერ დროს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია.

სტუდენტები ინფორმირებული არიან გასაჩივრების პროცედურაზე, მაგრამ უმეტესი მათგანი აღნიშნავს, რომ ამ მექანიზმის გამოყენების საჭიროება არ ჰქონიათ, საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს კეთილმოწყობული ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური და ტექნიკური ინვენტარით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;
- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სილაბუსები;
- ვებ-გვერდი [www.ug.edu.ge](http://www.ug.edu.ge);
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება.

### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

